დამტკიცებულია ასოციაციის გამგეობის
მიერ 2023 წლის 17 ნოემბერს

ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვისას, ნაწარმოებებისა და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების სანაცვლოდ, ჰონორარის შეგროვების წესი (ახალი რედაქცია)

1. წინამდებარე წესები განსაზღვრავს ასოციაციაში მუშაობის წესს, ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებების (შემდგომში - ნაწარმოებების) და მომიჯნავე უფლებების კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ანაზღაურების შეგროვებისთვის. იმ ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლების და სხვა უფლებამფლობელების (შემდგომში - უფლებამფლობელების) ინტერესებს, რომელთა ქონებრივ უფლებებსაც მართავს ასოციაცია.
2. ასოციაცია აფორმებს ხელშეკრულებებს მოსარგებლეებთან და გადამხდელებთან - ნაწარმოებების და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით, რომლთა ქონებრივი უფლებებიც გადაეცა ასოციაციას კოლექტიურ მმართველობაში, ნაწარმოებების და მომიჯნავე უფლებების უფლებამფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების და საქართველოს კანონმდებლობის და ასევე კოლექტიურ საფუძველზე ქონებრივი უფლებების მმართველ სხვა ორგანიზაციებთან, ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების საფუძველზე. მომხმარებლები დამოუკიდებლად არიან პასუხისმგებელი საავტორო უფლებების მფლობელთა ქონებრივ უფლებებთან მიმართებაში ნაწარმოებებთან და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მომხმარებლებსა და ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულებებით.
საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნაწარმოებებისა ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენების სანაცვლოდ, ჰონორარის გადახდის ვალდებულება ეკისრებათ პირებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ მათ გამოყენებას, მაგრამ განიხილებიან შესაბამისი ანაზღაურების გადამხდელებად და ახორციელებენ მის გადახდას ასოციაციასთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. წინამდებარე წესების მიხედვით მოსარგებლედ ითვლება პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ან ორგანიზებას უწევს (ინიცირებას ახდენს/ავალებს) იმ ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლების გამოყენებას, რომლებზეც ქონებრივი უფლებებიც გადაცემულია ასოციაციის კოლექტიურ მართველობაში შემდეგი ფორმებით:
3.1. ნაწარმოების საჯარო შესრულება - ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის წარმოდგენა დეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ (ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს;
3.2. ფონოგრამის საჯარო შესრულება - ფონოგრამის წარმოდგენა ნებისმიერი ხმის აპარატურის მეშვეობით, რის შედეგადაც ფონოგრამა ხელმისაწვდომი ხდება სმენითი აღქმისთვის, სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს;
3.3. ნაწარმოების საჯარო გადაცემა - ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით (გარდა ნაწარმოების ან ფონოგრამის ასლების გავრცელებისა)

ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შესაძლებელია აღიქვან პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, იმ ადგილზე (ადგილებზე), რომელიც იმდენადაა დაშორებული გადაცემის ადგილიდან, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მიღების ადგილზე (ადგილებზე), მათ შორის, გადაიცეს ისე, რომ საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტები, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან;

3.4. ფონოგრამის საჯარო გადაცემა - ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით (გარდა ნაწარმოების ან ფონოგრამის ასლების გავრცელებისა) ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შესაძლებელია აღიქვან პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, იმ ადგილზე (ადგილებზე), რომელიც იმდენადაა დაშორებული გადაცემის ადგილიდან, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მიღების ადგილზე (ადგილებზე), მათ შორის, გადაიცეს ისე, რომ საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტები, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან; ასევე ფონოგრამის გადაცემა, ნებისმიერი პირისთვის მის მიერ შერჩეულ დროს და მის მიერ შერჩეული ადგილიდან მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად (ინტერნეტის ქსელში) წარმოადგენს ფონოგრამის გამოყენების ცალკეულ ხერხებს.

4. ამ წესების მიზნებისთვის გადამხდელია პირი, რომელსაც კანონის შესაბამისად ევალება უფლებამფლობელთა სასარგებლოდ ჰონორარის გადახდის ვალდებულება ნაწარმოებების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების შესაბამისი უშუალო გამოყენების გარეშე. კერძოდ, გადამხდელთა რიცხვს განეკუთვნება იმ მოწყობილობების და მატერიალური მატარებლების მწარმოებელი და იმპორტიორი, რომლებიც გამოიყენება კანონით განსაზღვრული ნაწარმოებებისა და მომიჯნავე უფლებების ობიექტების პირადი მიზნებისთვის გამოსაყენებლად (შემდგომში – პირადი მიზნებისთვის გამოყენება)

5. ასოციაცია აფორმებს მოსარგებლეებთან შემდეგი სახის ხელშეკრულებებს:

5.1. მოსარგებლეებთან, რომლებიც იყენებენ ნაწარმოებებს 3.1 და 3.3 პუნქტების, ფორმდება სალიცენზიო ხელშეკრულებები ნაწარმოებების გამოყენების შესახებ;

5.2. მოსარგებლეებთან, რომლებიც იყენებენ ფონოგრამებს 3.2 და 3.4 პუნქტების, ფორმდება ხელშეკრულებები ფონოგრამების გამოყენებისთვის ჰონორარი გადახდის შესახებ;

5.3. მოსარგებლეებთან, რომლებიც ერთდროულად იყენებენ, ანალოგიური ხერხებით, ნაწარმოებებს და ფონოგრამებს, შეიძლება გაფორმდეს კომპლექსური (შერეული) ხელშეკრულებები, რომლებშიც ერთდროულად შედის სალიცენზიო ხელშეკრულების და ჰონორარის გადახდის შესახებ ხელშეკრულების პირობები. ამასთან, ასეთ კომპლექსურ (შერეულ) ხელშეკრულებებში ჰონორარის გადახდის პირობა უნდა განსაზღვრავდეს ჰონორარის ოდენობას, როგორც ნაწარმოებების, ასევე ფონოგრამების გამოყენებისთვის.

5.4. მე–4 პუნქტში აღნიშნულ გადამხდელებთან, ფორმდება ხელშეკრულებები ჰონორარის გადახდის შესახებ.

6. სალიცენზიო ხელშეკრულებების და ჰონორარის გადახდის შესახებ ხელშეკრულებების პირობები ანალოგიური უნდა იყოს ერთი კატეგორიის ყველა მოსარგებლის და გადამხდელისთვის. მოსარგებლეების კატეგორიები განისაზღვრება ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების ხერხების / ფორმების ერთიანობის საფუძველზე, ასევე გამოყენების მიზნების და პრაქტიკული გარემოებების (საქმიანობის ტიპების, რომელთა ფარგლებშიც გამოიყენება ნაწარმოებები და(ან) ფონოგრამები) მიხედვით. გადამხდელთა კატეგორიები გამოიყოფა მათი საქმიანობის, მიზნისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით, საიდანაც დგინდება ჰონორარის გადახდის ვალდებულება. მოსარგებლეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების ანალოგიურობა მიიღწევა

ასოციაციის მიერ ხელშეკრულებების გაფორმების გზით, ასევე, გარკვეული კატეგორიის მოსარგებლეებისთვის ანაზღაურების ერთიანი ტარიფების (დებულებები განაკვეთების შესახებ) მეშვეობით. ასოციაციის მიერ დამტკიცებული ტარიფები ქვეყნდება ასოციაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე და ასევე, იგზავნება საქპატენტში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7. პირადი მიზნებისთვის გამოყენების სანაცვლოდ, ჰონორარების შეგროვების განსახორციელებლად ასოციაცია შეიმუშავებს და ამტკიცებს მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობებს, რომლითაც აგროვებს ჰონორარს, ადგენს ტარიფს და მისი გადახდის წესს. აღნიშნული პირობები შესათანხმებლად მიეწოდებათ გადამხდელებს ჰონორარის გადახდის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისას და შედის ძალაში მათ მიერ მიღების შემდეგ. თუ გადამხდელები არ თანხმდებიან, ასეთი ჰონორარის გადახდის პირობებ შეიძლება გადაიხედოს და დამტკიცდეს ასოციაციასა და გადამხდელებს შორის მოლაპარაკების შედეგად. თუ მოლაპარაკებების შედეგად ასოციაცია და გადამხდელები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის გადახდის პირობები დგინდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. პირადი მიზნებისთვის გამოყენების სანაცვლოდ დადგენილი ჰონორარის პირობები ქვეყნდება ასოციაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე და ასევე, იგზავნება საქპატენტში კანონმდებლობის შესაბამისი წესით გამოქვეყნებისთვის.

8. ასოციაციას არ შეუძლია უარი უთხრას მოსარგებლეს ხელშეკრულების გაფორმებაზე, საკმარისი საფუძვლის გარეშე. მოსარგებლესთან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარისთვის საკმარის საფუძვლად განიხილება:

8.1 მოსარგებლის მიერ ასოციაციასთან ადრე გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევის ფაქტების არსებობა;

8.2 მონაცემების არსებობა, მოსარგებლის მიერ ნაწარმოებებზე და ფონოგრამებზე ქონებრივი უფლებების დარღვევის შემთხვევების შესახებ, რასაც მოჰყვა არსებითი ნეგატიური შედეგები უფლებამფლობელებისთვის, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენს ასოციაცია;

8.3 მონაცემების არსებობა, რომ მოსარგებლეს არ გააჩნია საკმარისი სახსრები, ჰონორარის გადახდის უზრუნველსაყოფად, სავარაუდო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. ახალი მოსარგებლეების მოზიდვის მიზნით, თანხებთან დაკავშირებით, ნაწარმოებების და(ან) ფონოგრამების გამოყენებისთვის, უფლებამფლობელების სასარგებლოდ, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენს ასოციაცია, ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარის ან ასოციაციის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, კონკრეტულ მოსარგებლეებთან ხელშეკრულებების გაფორმებისას, დადგინდეს ინდივიდუალური პირობები, თანხის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება დადგენილი განაკვეთისგან, არაუმეტეს 50%-ით, ასევე, განისაზღვროს ხელშეკრულების შესრულებისთვის მოსარგებლის პასუხისმგებლობის ზომა და პირობები. ამასთან, ასეთი ინდივიდუალური პირობების გამოყენება, ასოციაციასთან მიმართებაში, კონკრეტულ მოსარგებლეებთან, უნდა შემოიფარგლოს დროის პერიოდით, რომელიც არ აღემატება 1 (ერთი) წელს, ასეთი პირობების ძალაში შესვლის მომენტიდან.

10. მოსარგებლესთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

10.1 მოსარგებლის იდენტიფიკაცია;

10.2 ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების პირობების შეთანხმება მოსარგებლესთან;

10.3 ხელშეკრულების გაფორმება და ხელმოწერა.

11. მოსარგებლის იდენტიფიკაცია ხდება, როდესაც ის მიმართავს ასოციაციას, თუ დამოუკიდებლად დაინტერესდება ხელშეკრულების გაფორმებით, ან იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის მხრიდან დადგინდება რომელიმე პირის მიერ ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების ფაქტი, ასეთ პირსა და ასოციაციას შორის ხელშეკრულების არარსებობისას. აღნიშნული ფაქტის დადგენის

შემთხვევაში, ასოციაცია მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას ასეთ გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირის დასადგენად და უგზავნის მას წინადადებას ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

12. მოსარგებლის მიკუთვნება გარკვეული კატეგორიისთვის, ხდება ასოციაციის მიერ, მოსარგებლის მიერ დაგეგმილი ან განხორციელებული მოქმედებების ჩამონათვალის, ნაწარმოებების და (ან) ფონოგრამების გამოყენების კონკრეტულ ფორმებთან და ხერხებთან ურთიერთკავშირის ანალიზის, შესაბამისი გამოყენების ობიექტური მახასიათებლების დადგენის (გამოყენებული ნაწარმოებების და(ან) ფონოგრამების ტიპი და რაოდენობა, გამოყენების აუდიტორიის სიდიდე, გამოყენების ეფექტი, გამოყენების ინტენსივობა, მათ შორის, ხანგრძლივობა, პერიოდულობა და ა.შ.) საფუძველზე.

13. ნაწარმოებების და(ან) ფონოგრამების გამოყენების პირობების შეთანხმება მოსარგებლესთან ხდება მოსარგებლის კონკრეტული კატეგორიისთვის მიკუთვნების შედეგების შესაბამისად, ტარიფების (დებულებები განაკვეთების შესახებ) დადგენილი პირობების გათვალისწინებით. მოსარგებლეს და ასოციაციას შორის ხელშეკრულების გაფორმებისას, შეთანხმებას ექვემდებარება შემდეგი:

- ნაწარმოებების და(ან) ფონოგრამების გამოყენების ფორმები და ხერხები, რომლებითაც დაინტერესებულია მოსარგებლე;
- ვადა, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ნაწარმოებების და(ან) ფონოგრამების გამოყენება;
- ჰონორარის დაანგარიშების და გადახდის წესი;
- ნაწარმოებების და(ან) ფონოგრამების გამოყენების შესახებ მონაცემების წარდგენის წესი და ფორმა.

აუცილებლობის შემთხვევაში, შეთანხმებას ექვემდებარება გამოყენების სხვა პირობებიც, რომელთა განსაზღვრასაც მოითხოვს რომელიმე მხარე.

14. ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების კონკრეტული ფორმები და ხერხები განისაზღვრება ხელშეკრულებაში, იმ მოქმედებებიდან გამომდინარე, რომლების განხორციელებითაც დაინტერესებულია მოსარგებლე, ანაზღაურების ტარიფების დადგენილი პირობების (დებულებები განაკვეთების შესახებ) შესაბამისად. გამოყენების ფორმები და ხერხები, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში, უნდა შეესაბამებოდეს ასოციაციის კოლექტიურ მმართველობაში არსებული ქონებრივი უფლებებს.

15. ვადა, რომლის განმავლობაშიც მოსარგებლეს გადაეცემა უფლება გამოიყენოს ნაწარმოებები, ზოგადი წესის მიხედვით, უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე დაინტერესებულია ნაწარმოებების გამოყენებით, მხოლოდ დროის შეზღუდული პერიოდის განმავლობაში, გამოყენების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაში, კონკრეტული თარიღების ან გამოყენებისთვის დროის განსაზღვრული პერიოდის მითითებით.

16. ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენებისთვის ჰონორარის გამოთვლის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებაში, ტარიფების პირობების (დებულებები განაკვეთების შესახებ) შესაბამისად. ნაწარმოებების და(ან) ფონოგრამების გამოყენებისთვის ანაზღაურების გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებაში, მოსარგებლის მიერ ასოციაციისთვის ანაზღაურების გადახდის ვადის (პერიოდულობის) განსაზღვრის გზით. ამასთან, მოსარგებლის მიერ ანაზღაურების გადახდის ვადა უნდა განისაზღვროს მოსარგებლისგან ასოციაციის ანგარიშზე მაქსიმალურად სწრაფად გადახდის უზრუნველყოფის გათვალისწინებით, რაც არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, გამოყენების (გამოყენების პერიოდის) დამთავრების დღიდან, საიდანაც უნდა განხორციელდეს ანაზღაურება.

17. მოსარგებლის მიერ ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების შესახებ მონაცემების წარდგენის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებაში, წარდგენის ფორმის და ვადების მითითების გზით.

ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების შესახებ მონაცემები შეიძლება წარმოდგენილი იყოს წერილობით, ცალკე დოკუმენტის სახით, ან ელექტრონული ფორმით.

მონაცემები ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- გამოყენების კონკრეტული თარიღი (განსაზღვრული პერიოდი);
- გამოყენების ფორმა ან/და ხერხი;
- გამოყენების გარემოებები (მაგალითად, ღონისძიების დასახელება და მისი ჩატარების ადგილი, შენობის დასახელება და ადგილმდებარეობა, სატელევიზიო ან რადიოპროგრამის დასახელება და ა.შ.);
- გადახდილი ჰონორარის ოდენობა (ჩატარებული გამოთვლების სისწორის დადასტურებისთვის საჭირო მონაცემების ჩათვლით);
- გამოყენებული ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების ჩამონათვალი. (იმ შემთხვევაში, თუ გამოყენების ფორმა, ხერხი და გარემოებები ასეთი ჩამონათვალის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.)

ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების შესახებ მონაცემები, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ჩაითვლება მოსარგებლის სათანადო ანგარიშად, რომელიც დასაშვებია ასოციაციაში ასეთი მოსარგებლისგან შემოსული ანაზღაურების განაწილებისთვის.

18. მოლაპარაკებების წარმოებისას ასოციაციას შეუძლია შესთავაზოს მომხმარებელს, ასოციაციის განკარგულებაში არსებული სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობის შესაძლებლობა, რომელიც განკუთვნილია ასოციაციაში მე–17 პუნქტით გათვალისწინებული ცნობების გასაგზავნად, უფასოდ. მომხმარებლის მიერ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ვალდებულება და ასევე, მისი გამოყენების პირობები განისაზღვრება ასოციაციასა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულებით.

19. მომხმარებელთან პირობების შეთანხმების შემდეგ ხელშეკრულებას ადგენს ასოციაციის თანამშრომელი, იურისტი ორ ეგზემპლარად, ხელმოწერით, თარიღის დაფიქსირებით და ნომრის მინიჭებით.

გაფორმებული ხელშეკრულების, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ასლები, გადაეცემა მომხმარებელს (ასოციაციაში მისი პირადი მიმართვის შემთხვევაში) ან ასოციაცია აგზავნის მათ მისამართზე ფოსტით, ხელმოწერის და შემდგომ უკან გამოზავნის მოთხოვნით.

მომხმარებლის მიერ ხელმოწერილი და პასუხისმგებელი შემსრულებლის (პირის) მიერ დამოწმებული ხელშეკრულების ასლები ხელმოსაწერად გადაეცემა ასოციაციის მიერ ასეთ ხელშეკრულებებზე ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს.

მომხმარებლისთვის ასოციაციის მხრიდან გაგზავნილ ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლებში, თანდართულ წერილში მითითებულია მომხმარებლის მიერ ასოციაციაში ხელმოწერილი ხელშეკრულებების ხელმოწერისა და დაბრუნების ვადები, რომელთა ამოწურვის შემდეგაც, თუ ასოციაცია არ მიიღებს ხელმოწერილ ასლებს, ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად.

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, ზოგადი წესით, ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. ხელშეკრულება, როგორც წესი, შეიცავს ხელშეკრულების დაწყების კონკრეტულ თარიღს. ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს დებულებას, რომ ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეთა ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა მის დადებამდე.

ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მომხმარებელს ასოციაციაში პირადად გამოცხადების შემთხვევაში ხელმოწერისთანავე ან იგზავნება მის მისამართზე ფოსტით. ხელშეკრულების მეორე ეგზემპლარი კი ინახება ასოციაციაში.

20. გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებისას, მოსარგებლე ვალდებულია, მისი პირობების შესაბამისად, გადაიხადოს ჰონორარი ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენებისთვის და წარუდგინოს მას მონაცემები ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების შესახებ

(მოსარგებლის ანგარიში).
გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოსარგებლისგან შემოსული თანხა მიიღება ასოციაციაში, შემდგომი დამუშავებისთვის, ჰონორარის განაწილების მიზნით, იმ პირობით, რომ ასოციაცია მიიღებს ანგარიშს მოსარგებლისგან ან ასოციაცია თვითონ გადაანაწილებს შემოსულ ჰონორარს ასოციაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
ასოციაციაში მიიღება გასანაწილებლად მოსარგებლეების მიერ გადახდილი თანხები, რომლებსაც თან ახლავს შესაბამისი მოსარგებლეების ანგარიშები. აუცილებლობის შემთხვევაში, ასოციაცია მიიღებს დამატებით ზომებს, მოსარგებლეების მიერ ანგარიშების წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით (უგზავნის მოთხოვნებს, უწევს ტექნიკურ დახმარებას მოსარგებლეებს, ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების აღრიცხვის უზრუნველსაყოფად).
მოსარგებლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარის გადახდის და ასევე ანგარიშების წარდგენის ვალდებულებების შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს, ასოციაციის მიერ მოსარგებლის მიმართ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების მიღებას.
ასოციაცია იღებს აუცილებელ ზომებს იმისათვის, რომ არ დაუშვას მოსარგებლის მიერ მნიშვნელოვანი დავალიანების დაგროვება, ჰონორარის გადახდის და ანგარიშების წარდგენის თვალსაზრისით: მოთხოვნების და საპრეტენზიო მოთხოვნების გაგზავნა, ზომები დავალიანების დაფარვის და ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.
21. ასოციაციას და მოსარგებლეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიძლება ცვლილებების და დამატებების შეტანა, მხარეთა შორის შეთანხმებული ფორმით დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით.
იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე გამოთქვამს დაინტერესებას, ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების ფორმის ან ხერხის შეცვლით, რის შედეგადაც მოსარგებლე გადავა კატეგორიაში, რომელიც განსხვავდება მისი კატეგორიისგან, ადრე გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მოსარგებლეს და ასოციაციას შორის უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
22. მოსარგებლეს და ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს შემდეგ საფუძველზე:
22.1 მოსარგებლის მიერ იმ საქმიანობის შეწყვეტა, რომელიც დაკავშირებულია ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენებასთან, იმ პირობით, რომ მოსარგებლე ასოციაციის მისამართით წინასწარ (არანაკლებ 15 დღით ადრე) გააგზავნის წერილობით შეტყობინებას ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების სავარაუდო შეწყვეტის შესახებ, ასევე, იმ პირობით, რომ მხარეები შეასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებებს სრულად და ჯეროვნად;
22.2 მხარეების მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმება;
22.3 ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაცია;
22.4 მოსარგებლის მიერ ასოციაციის შეტყობინების მიღება, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე, მოსარგებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაერთხელ დარღვევის შემთხვევაში;
22.5 ერთი თვის ვადაში, როდესაც მოსარგებლე მიიღებს ასოციაციის შეტყობინებას, ვალდებულია შეწყვიტოს ხელშეკრულება.
23. ასოციაცია ახორციელებს მოსარგებლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლს. მოსარგებლის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების მრავალჯერადი (ორჯერ და მეტჯერ) დარღვევის შემთხვევაში, ასეთი ხელშეკრულება შეიძლება

მოშალოს ასოციაციამ, ცალმხრივად, მოსარგებლისთვის ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

24. იმ შემთხვევაში, თუ ასოციაცია მიიღებს გადაწყვეტილებას ნაწარმოებების ან/და ფონოგრამების გამოყენების პირობების შეცვლის შესახებ, შეტყობინება, გამოყენების პირობების ცვლილების შესახებ უნდა გაეგზავნოს მოსარგებლეებს, რომელთა ინტერესებსაც, გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, შეეხება ასეთი ცვლილებები, არაუგვიანეს ერთი თვით ადრე, შესაბამისი ცვლილებების ძალაში შესვლამდე. ამასთან, მოსარგებლეებს შეიძლება შესთავაზონ ხელშეკრულებების ხელახლა გაფორმება, ახალი პირობების შესაბამისად.

გამგეობის თავმჯდომარე---------- /თ. გვარიშვილი/

გამგეობის კრების მდივანი---------- /გ. ნიკოლაიშვილი/